პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურების დაფინანსება. სკოლაში სწავლობს 116 მოსწავლე და 24 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ღამეს ათევეს უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 16 მოსწავლე, დაფინანსება ძირითადად ხმარდება ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით და ამასთან ანაზღაურებს სწავლის პერიოდში ელექტროენერჯის ხარჯებს. ადგილობრივი დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 16 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს ეხმარება სამედიცინო



მომსახურეობაში, უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლის დაფინანსებაში და ა. შ. პანსიონის ბაზაზე მუნიციპალიტეტის სახსრებით მოეწყო შშმ პირებისათვის დღის ცენტრი.

**გ) სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება – 105.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 03)**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

**დ) განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ინვენტარით უზრუნველყოფა 319.9**

**ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 04)**

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან რეაბილიტაცია ჩატარდება დაბის N 2, სოფელ ღორემის, ხევის, წიფისა და მოლითის საბავშვო ბაღებს, ხოლო თანადაფინანსების წესით მუნიციპალიტეტი დაააფინანსებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოს ღირებულებას და შესასრულებელი სამუშაოების 5 %-ს.

**5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1399.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების, მომღერლების და სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე წარმატებული ახალგაზრდობის წახალისებას, ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლინება.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 498.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტთან დაკავშირებული ყველა სახის ღონისძიებები.

2016 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: ქუჩის კალათბურთი, ქვიშის ფრენბურთის ჩემპიონატი, მარათონი „ვირბინოთ მსოფლიოსთან ერთად“ სასკოლო ოლიმპიადა, რომელშიდაც ჩართული იქნებიან საჯარო სკოლის მოსწავლეები, მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშხი და ჭადრაკში, მკლავჭიდიში, მინი ფეხბურთში უბნებსა და ორგანიზაციებს შორის, ნ.ახალკაცის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, სამაგიდო თამაშები (ჭადრაკი,ნარდი, დომინო, შაში) ბ. გოგნაძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში, ფრენბურთში ვაჟებსა და გოგონებს შორის, მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის, ასევე ქუჩის კალათბურთის ჩატარება. რესპუბლიკური ტურნირების მოწყობა კარატეში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში. მონაწილეობის მიღება სოფელ ვახანში მ. არევაძის სახელობის სახალხო დღესასწაულში, ზონალური ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ხარაგაულის სპორტის განვითარების მუნიციპალური ცენტრის, „საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა -2009“-ისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება, ამასთან 2016 წლის პირველი მარტიდან „საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელა -2009“-ის დაფინანსება მოხდება ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მეშვეობით.

**ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა –734.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება. ქართული თეატრის დღის აღნიშვნა, მომღერალი ოჯახების კონკურსი. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურული დანიშნულების ექვსი ა(ა)იპ, რომლებიც მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და საკუთარი შემოსულობების გამოყენებით ახორციელებენ სხვადასხვა სახის კულტურულ და სანახაობრივ ღონისძიებებს, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის



მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

**გ) ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა 64.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სხვადასხვა საკონმდებლო აქტების გამოქვეყნების დაფინანსება, აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად შექმნილია მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის ცენტრი, როგორც მაკავშირებელი ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის, ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ცხელი ხაზის სერვისი, ყოველკვირეული გამოცემის საშუალებით ხდება მოსახლეობის ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული აქტივობების შესახებ, ცენტრის საშუალებით ხორციელდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება.

**დ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება – 12.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზება, პროექტი „მხიარული სტარტების“ ჩატარება. სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სხვადასხვა შემსრულებლების მოწვევა. გასვლითი კონცერტები სოფლებში ახალგაზრდების მონაწილეობით. ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონის“ მოწყობა.

ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობა

**ე). რელიგიის დაფინანსება – 90.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 05)**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბაში მშენებარე საკათედრო ტაძრის მშენებლობის თანადაფინანსებაში მონაწილეობა. ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს და სასულიერო გიმნაზიას.

**6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 824.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადაამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

**7. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება – 107.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ნაწილობრივ საკუთარი სახსრებიდან (ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ:

ა) მიმდინარე ეპიდემიოლოგიური პროცესების ტენდენციებისა და დინამიკის, ინფექციურ დაავადებათა მასშტაბების, გავრცელების ხასიათისა და მათი სოციალურ ეკონომიკური მნიშვნელობის ყოველკვარტალურად შესწავლა; ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების კერებში ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა რეალიზება,

ბ) არაინფექციურ დაავადებათა გავრცელების მეთვალყურეობა სამოქმედო ტერიტორიაზე, ავადობის დინამიკაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება, სათანადო ინფორმაციის შეკრება, მოძიება, რეგისტრაცია, დამუშავება-ანალიზი და ანგარიშგება, მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება,



გ) მოსახლეობაში გრიპით ავადობის მონიტორინგი. მისი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება; პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა, განხორციელების ორგანიზაცია, სამიზნე კონტინენტების იმუნიზაციის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება,

დ) ახალი პენტა ვაქცინის დანერგვა 2015 წლის დეკემბრის თვიდან; მოსახლეობაში პროფილაქტიკური საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება; ჰელმინთოზების მიზანმიმართული სკრინინგული კვლევების საფუძველზე პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება-გატარება და რეკომენდაციების მომზადება,

ე) რაიონის მაშტაბით პარაზიტული ჭიებით დაინვაზირებულთა გამოვლენისა და მკურნალობის პროგრამის შემუშავება და განხორციელება; ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე სისტემატიური მონიტორინგის წარმოება და სათანადო სამსახურების დროული ინფორმირება, ანტირაბიული კაბინეტის ფუნქციონირების ხელშეწყობა, სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟი შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების და სასწრაფო შეტყობინების არსებული წესების დაცვის შესახებ,

ვ) ანოფელოგენური წყალსატევების აღრიცხვა-პასპორტიზაცია და დაგამზუზირებული წყალსატევების გამოკვლევა და გადამტანის წყლის ფაზების აღმოჩენის შემთხვევაში მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება; ანოფელოგენურ წყალსატევებში გამზუზიის მაქსიმალური გავრცელება; გადამტანის წყლის ფაზების აღმოჩენისას წყალსატევების დამუშავება ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებებით, სადაც შეუძლებელია გამზუზიის გავრცელება; მცირე სანიტარულ ჰიდროტექნიკური სამუშაოების წყალსატევების გაწმენდა წყალმცენარეებისაგან, მათი დაშრობა,

ზ) მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების ღონისძიებები; ლექცია-საუბრების ჩატარება აქტუალურ თემებზე; თამბაქოს, ალკოჰოლის და შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა; სტატიების გამოქვეყნება ადგილობრივ პრესაში;

სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე მონიტორინგი; წლის განმავლობაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-დამუშავება და გადაცემა,

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება, ახალი ინფორმაციის მოწოდება და საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირი; სკოლამდელ და სასკოლო ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა /ჰელმინთებით ინვაზირება, ფიზიკური განვითარება-ტანმდეგობა და სხვა/ რეკომენდაციების და წინადადებების პაკეტის მომზადება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ბავშვთა ორგანიზებული დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის და მოსახლეობისათვის.

## **8. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02) 717.2 ათასი ლარი**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### **ა) უფასო სასადილოს დაფინანსება - სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01) 90.0 ათასი ლარი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მზრუნველობამოკლებული მოხუცების, ინვალიდების და მრავალშვილიანი ოჯახების ყოველდღიურ ერთჯერად კვებას გარდა კვირა დღისა. სასადილო ემსახურება 70 ბენეფიციარს, მუშაობს ყველა სადღესასწაულო დღეს და დღესასწაული აღინიშნება მცირედი საჩუქრებით.

**ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო, ფინანსური და სხვადასხვა სახის დახმარებების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02) 491.8 ათასი ლარი ოპერაციის და სამედიცინო მომსახურების დაფინანსება :**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას იმ თანხის 50%-ით, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველთათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000-ს, \_ 70%-მდე არაუმეტეს 700 ლარისა,





ხოლო სამედიცინო კვლევის დაფინანსებას იგივე სქემით, არაუმეტეს 500 ლარისა. ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს დახმარებას მედიკამენტების შესაძენად ოჯახის ერთ წევრზე.

**გ) უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფინანსური დახმარება:**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასვა მიზეზების გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. დახმარება განისაზღვროს არაუმეტეს 300 ლარისა.

**დ) „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრისთვის საჭირო კვლევების დაფინანსება:**

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს დაავადებულ პირთა მკურნალობის პროცესში ჩართვის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში მცხოვრები „C“ ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე აუცილებელი, დაავადების სტადიის განსაზღვრის გამოკვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ბენეფიციარის დიაგნოსტიკისათვის სოციალურად დაუცველთა მომსახურება განისაზღვროს კვლევის 30%-ით, ხოლო დანარჩენი მოქალაქეებისთვის \_ 70%-ით.

**ე) 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება:**

ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმული მოქალაქეების პატივისცემა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ ბენეფიციართა რაოდენობა ძალზედ მცირეა. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდება 100 წელი. დახმარების ოდენობა განისაზღვროს 500 ლარით.

**ვ) სოციალურად დაუცველი და/ან უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება:**

პროგრამის მოსარგებლნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი გარდაცვლილთა ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30000-ს, მათი ოჯახებისათვის გაწეული ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება 200 ლარით. ასევე განხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება დაფინანსება.

**ზ) შშმ 18 წლამდე ასაკის პირების დახმარება:**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უნარშეზღუდული და მძიმე ავადმყოფობის მქონე ბავშვების საკურორტო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უსინათლოთათვის სასწავლო ცენტრის ამოქმედება, სადაც ისინი ბრაილის შრიფტის მეშვეობის შეისწავლიან კომპიუტერს და უცხო ენას. ასევე შშმ პირთა გარემოსთან ხელმისაწვდომობის, მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებები გათვალისწინებულია როგორც სოციალური დარგის სხვადასხვა პროგრამებიდან, ასევე ბიუჯეტის სხვა დარგების პროგრამებიდან.

**თ) სადღესასწაულო დღეების დახმარება:**

ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებში (შობა-ახალი წელი, აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, უდედმამო ბავშვების, უკიდურესად გაჭირვებულ და ინვალიდ მოქალაქეების, იძულებით გადაადგილებული პირების ფინანსური, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა; მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეებს (9 მაისთან დაკავშირებით), ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით შშმ ბავშვთა მხარდამჭერი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერას. დედის და ქალთა დღეებთან დაკავშირებით მრავალშვილიან, მარტოხელა, ხანდაზმულ ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დედების მხარდაჭერა.

**ი) ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარების დახმარება:**

ჰემოდიალიზით ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარები ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 ლარით.

**კ) ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება:**



ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ლეიკემიით დაავადებული ბენეფიციარები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი წელიწადში გაუწევს 600 ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას.

**ლ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება:**

ქვეპროგრამის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა იმ ოჯახების დახმარება, რომლებიც ვერ მოხვდნენ სახელწიფო შემწეობის მიმღებთა რიცხვში.

**მ) კომუნალური ხარჯებისთვის დახმარება:**

ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან დიდი სამამულო ომის ვეტერანები და ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაერთიანებული უსინათლოები, რომელთა ფინანსური დახმარება განისაზღვრება თვეში 30 ლარის ოდენობით.

**ნ) სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 02 03) 41.0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება უფასო სასადილო შენობის რეაბილიტაცია 10. 0 ათასი ლარის ფარგლებში, სოფელ ვერტყვიჭალის დღის ცენტრის მოსაწყობად გამოყოფილი იქნება 23.0 ათასი ლარი და 8.0 ათასი ლარით შეძენილი იქნება სოფ. კიცხში არსებული შშმ პირების ოფისისათვის ინვენტარი.

**ო) ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04) 40.0 ათასი ლარი**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალშობილთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას. საბიუჯეტო წლის განმავლობაში დაბადებული ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები: პირველი ბავშვის შეძენისას -100 ლარი, მეორე ბავშვის შეძენისას -150 ლარი; მესამე ბავშვის შეძენისას -200 ლარი, მეოთხე ბავშვის შეძენისას -250 ლარი, მეხუთე ბავშვის შეძენისას - 300 ლარი და ა.შ. ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას. ტყუპების შეძენის შემთხვევაში - 500 ლარი.

**პ) ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05) 2.0 ათასი ლარი; დიდი სამამულო ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება 250 ლარის ოდენობით.**

**ჟ) სტიქიით დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების სოციალური დაცვა და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 06) 52.4 ათასი ლარი**

სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახთა ერთჯერადი დახმარება დაზიანების ხარისხის მიხედვით. დახმარების გაცემა მოხდეს კომისიის დებულების შესაბამისად სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისიის წარდგინებით. ასევე უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი უზრუნველყოფა.

**მუხლი 16**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

| ფუნქც. კოდი | ორგ. კოდი | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 2014 წლის ფაქტი |   |                      | 2015 წლის ფაქტი |   |                      | 2016 წლის გეგმა |   |                      |
|-------------|-----------|---------------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|
|             |           |                           | მათ შორის       |   |                      | მათ შორის       |   |                      | მათ შორის       |   |                      |
|             |           |                           | სულ             | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ             | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ             | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|             |           | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 11<br>113,1     | 4 460,4   | 6 652,7              | 9<br>929,7      | 3 118,9   | 6 810,8              | 9<br>969,3      | 3 356,6   | 6 612,7              |



|       |       |   |         |         |         |         |         |         |         |         |         |
|-------|-------|---|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
|       |       |   |         |         |         |         |         |         |         |         |         |
|       |       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                     | 142,0   | 0,0     | 142,0   | 167,0   | 0,0     | 167,0   | 165,0   | 0,0     | 165,0   |
|       |       | ხარჯები   | 6 884,6 | 598,5   | 6 286,1 | 7 052,1 | 494,1   | 6 558,0 | 6 776,1 | 623,5   | 6 152,6 |
|       |       | შრომის ანაზღაურება  | 1 368,0 | 0,0     | 1 368,0 | 1 521,2 | 26,0    | 1 495,2 | 1 646,8 | 86,1    | 1 560,7 |
|       |       | არაფინანსური აქტივების ზრდა                               | 4 228,5 | 3 861,9 | 366,6   | 2 869,6 | 2 616,8 | 252,8   | 3 084,5 | 2 638,0 | 446,5   |
|       |       | ვალდებულებების კლება                                      | 0,0     | 0,0     | 0,0     | 8,0     | 8,0     | 0,0     | 108,7   | 95,1    | 13,6    |
|       | 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2 023,4 | 5,3     | 2 018,1 | 2 000,2 | 0,0     | 2 000,2 | 2 251,9 | 0,0     | 2 251,9 |
|       |       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                     | 133,0   | 0,0     | 133,0   | 157,0   | 0,0     | 157,0   | 155,0   | 0,0     | 155,0   |
|       |       | ხარჯები   | 1 931,6 | 5,3     | 1 926,3 | 1 977,5 | 0,0     | 1 977,5 | 2 170,3 | 0,0     | 2 170,3 |
|       |       | შრომის ანაზღაურება  | 1 144,7 | 0,0     | 1 144,7 | 1 434,2 | 0,0     | 1 434,2 | 1 560,7 | 0,0     | 1 560,7 |
|       |       | არაფინანსური აქტივების ზრდა                               | 91,8    | 0,0     | 91,8    | 22,7    | 0,0     | 22,7    | 80,0    | 0,0     | 80,0    |
|       |       | ვალდებულებების კლება                                      | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 1,6     | 0,0     | 1,6     |
|       | 01 01 | ხარაგაულის საკრებულო                                      | 465,6   | 2,3     | 463,3   | 551,2   | 0,0     | 551,2   | 543,3   | 0,0     | 543,3   |
|       |       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                     | 23,0    |         | 23,0    | 23,0    |         | 23,0    | 21,0    |         | 21,0    |
| 70111 |       | ხარჯები   | 456,3   | 2,3     | 454,0   | 540,9   | 0,0     | 540,9   | 538,0   | 0,0     | 538,0   |
|       |       | შრომის ანაზღაურება  | 251,2   | 0,0     | 251,2   | 304,9   | 0,0     | 304,9   | 313,8   | 0,0     | 313,8   |
| 70111 |       | არაფინანსური აქტივების ზრდა                               | 9,3     | 0,0     | 9,3     | 10,3    | 0,0     | 10,3    | 4,6     | 0,0     | 4,6     |
|       |       | ვალდებულებების კლება                                      | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,7     | 0,0     | 0,7     |
|       | 01 02 | ხარაგაულის გამგეობა                                       | 1 557,8 | 3,0     | 1 554,8 | 1 449,0 | 0,0     | 1 449,0 | 1 663,4 | 0,0     | 1 663,4 |
|       |       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                     | 110,0   |         | 110,0   | 134,0   |         | 134,0   | 134,0   |         | 134,0   |
| 70111 |       | ხარჯები   | 1 475,3 | 3,0     | 1 472,3 | 1 436,6 | 0,0     | 1 436,6 | 1 587,1 | 0,0     | 1 587,1 |



|       |   |       |     |       |         |      |         |         |      |         |
|-------|---|-------|-----|-------|---------|------|---------|---------|------|---------|
|       | შრომის ანაზღაურება  | 893,5 | 0,0 | 893,5 | 1 129,3 | 0,0  | 1 129,3 | 1 246,9 | 0,0  | 1 246,9 |
| 70111 | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 82,5  | 0,0 | 82,5  | 12,4    | 0,0  | 12,4    | 75,4    | 0,0  | 75,4    |
|       | ვალდებულებების კლება  | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,9     | 0,0  | 0,9     |
|       | 01 03 სარეზერვო ფონდი   | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 45,2    | 0,0  | 45,2    |
| 70112 | ხარჯები   | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 45,2    | 0,0  | 45,2    |
|       | მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი   | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     |
| 7018  | ხარჯები   | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     |
|       | 01 04 წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     |
| 7016  | ხარჯები   | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     |
|       | საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შევსება  | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     |
| 70112 | ხარჯები   | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     |
|       | 02 00 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება   | 457,4 | 0,0 | 457,4 | 272,7   | 26,0 | 246,7   | 99,1    | 87,0 | 12,1    |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა   | 9,0   | 0,0 | 9,0   | 10,0    | 0,0  | 10,0    | 10,0    | 0,0  | 10,0    |
|       | ხარჯები   | 456,7 | 0,0 | 456,7 | 272,7   | 26,0 | 246,7   | 97,8    | 87,0 | 10,8    |
|       | შრომის ანაზღაურება  | 223,3 | 0,0 | 223,3 | 87,0    | 26,0 | 61,0    | 86,1    | 86,1 | 0,0     |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 0,7   | 0,0 | 0,7   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 1,2     | 0,0  | 1,2     |
|       | ვალდებულებების კლება  | 0,0   | 0,0 | 0,0   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,1     | 0,0  | 0,1     |
|       | 02 01 საგანგებო სიტუაციების მართვის საქალაქო სამსახური  | 355,7 | 0,0 | 355,7 | 178,1   | 0,0  | 178,1   | 0,0     | 0,0  | 0,0     |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა   | 0,0   |     |       | 0,0     |      |         | 0,0     |      |         |



|       |   |         |         |         |         |         |         |         |         |         |
|-------|---|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 7032  | ხარჯები   | 355,0   | 0,0     | 355,0   | 178,1   | 0,0     | 178,1   | 0,0     | 0,0     | 0,0     |
|       | შრომის ანაზღაურება  | 165,2   | 0,0     | 165,2   | 2,9     | 0,0     | 2,9     | 0,0     | 0,0     | 0,0     |
| 7032  | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 0,7     | 0,0     | 0,7     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     |
|       | შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება  | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     |
| 7031  | ხარჯები   | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     |
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა               | 101,7   | 0,0     | 101,7   | 94,6    | 26,0    | 68,6    | 99,1    | 87,0    | 12,1    |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა   | 9       |         | 9       | 10      |         | 10      | 10      |         | 10,0    |
| 702   | ხარჯები   | 101,7   | 0,0     | 101,7   | 94,6    | 26,0    | 68,6    | 97,8    | 87,0    | 10,8    |
|       | შრომის ანაზღაურება  | 58,1    | 0,0     | 58,1    | 84,1    | 26,0    | 58,1    | 86,1    | 86,1    | 0,0     |
| 702   | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 1,2     | 0,0     | 1,2     |
|       | ვალდებულებების კლება  | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,0     | 0,1     | 0,0     | 0,1     |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია        | 4 190,9 | 3 155,4 | 1 035,5 | 4 070,3 | 2 869,2 | 1 201,1 | 4 046,7 | 2 897,2 | 1 149,5 |
|       | ხარჯები   | 1 395,2 | 492,5   | 902,7   | 1 431,8 | 341,1   | 1 090,7 | 1 316,8 | 463,1   | 853,7   |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 2 795,7 | 2 662,9 | 132,8   | 2 630,5 | 2 520,1 | 110,4   | 2 645,8 | 2 350,6 | 295,2   |
|       | ვალდებულებების კლება  | 0,0     | 0,0     | 0,0     | 8,0     | 8,0     | 0,0     | 84,1    | 83,5    | 0,6     |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 2 514,0 | 2 145,0 | 369,0   | 1 601,4 | 1 424,8 | 176,6   | 2 416,9 | 2 187,9 | 229,0   |
|       | ხარჯები   | 272,4   | 0,0     | 272,4   | 147,3   | 37,5    | 109,8   | 219,1   | 149,4   | 69,7    |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა                                     | 2 241,6 | 2 145,0 | 96,6    | 1 446,1 | 1 379,3 | 66,8    | 2 134,0 | 1 975,3 | 158,7   |
|       | ვალდებულებების კლება  | 0,0     | 0,0     | 0,0     | 8,0     | 8,0     | 0,0     | 63,8    | 63,2    | 0,6     |



|       |          |   |            |         |       |            |         |       |            |         |       |
|-------|----------|---|------------|---------|-------|------------|---------|-------|------------|---------|-------|
|       | 03 01 01 | გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები                   | 1<br>584,6 | 1 272,9 | 311,7 | 1<br>505,1 | 1 386,8 | 118,3 | 2<br>312,0 | 2 152,0 | 160,0 |
| 70451 |          | ხარჯები   | 272,4      | 0,0     | 272,4 | 143,5      | 37,5    | 106,0 | 210,1      | 149,4   | 60,7  |
| 70451 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 1<br>312,2 | 1 272,9 | 39,3  | 1<br>361,6 | 1 349,3 | 12,3  | 2<br>038,5 | 1 939,4 | 99,1  |
|       |          | ვალდებულებების კლება  | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 63,4       | 63,2    | 0,2   |
|       | 03 01 02 | ხიდების ბოგირების აშენება, შეკეთება   | 126,5      | 83,5    | 43,0  | 92,5       | 38,0    | 54,5  | 95,9       | 35,9    | 60,0  |
| 70451 |          | ხარჯები   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   |
| 70451 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 126,5      | 83,5    | 43,0  | 84,5       | 30,0    | 54,5  | 95,5       | 35,9    | 59,6  |
|       |          | ვალდებულებების კლება  | 0,0        | 0,0     | 0,0   | 8,0        | 8,0     | 0,0   | 0,4        | 0,0     | 0,4   |
|       | 03 01 03 | ქუჩებისა და ტროტუარების მოწყობა, მოვლა-პატრონობა                                | 802,9      | 788,6   | 14,3  | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   |
| 70451 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 802,9      | 788,6   | 14,3  | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   |
|       | 03 01 04 | მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა                             | 0,0        | 0,0     | 0,0   | 3,8        | 0,0     | 3,8   | 9,0        | 0,0     | 9,0   |
| 70451 |          | ხარჯები   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 3,8        | 0,0     | 3,8   | 9,0        | 0,0     | 9,0   |
| 70451 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   |
|       | 03 02    | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია              | 720,0      | 228,3   | 491,7 | 932,2      | 210,8   | 721,4 | 723,9      | 5,9     | 718,0 |
|       |          | ხარჯები   | 491,7      | 0,0     | 491,7 | 710,7      | 0,0     | 710,7 | 589,7      | 0,5     | 589,2 |
|       |          | არაფინანსური აქტივების ზრდა   | 228,3      | 228,3   | 0,0   | 221,5      | 210,8   | 10,7  | 128,8      | 0,0     | 128,8 |
|       |          | ვალდებულებების კლება  | 0,0        | 0,0     | 0,0   | 0,0        | 0,0     | 0,0   | 5,4        | 5,4     | 0,0   |
|       | 03 02 01 | სანიადვრე და საკანალიზაციო არხების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა | 8,6        | 0,0     | 8,6   | 32,5       | 32,5    | 0,0   | 21,5       | 1,5     | 20,0  |



|      |          |   |       |       |       |       |       |       |       |      |       |
|------|----------|---|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|------|-------|
| 7052 |          | ხარჯები   | 8,6   | 0,0   | 8,6   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,5   | 0,5  | 0,0   |
| 7052 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                           | 0,0   | 0,0   | 0,0   | 32,5  | 32,5  | 0,0   | 20,0  | 0,0  | 20,0  |
|      |          | ვალდებულებების კლება                                  | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 1,0   | 1,0  | 0,0   |
|      | 03 02 02 | დასუფთავების ღონისძიებები                             | 453,9 | 169,5 | 284,4 | 519,0 | 0,0   | 519,0 | 412,0 | 0,0  | 412,0 |
| 7051 |          | ხარჯები   | 284,4 | 0,0   | 284,4 | 519,0 | 0,0   | 519,0 | 411,3 | 0,0  | 411,3 |
| 7051 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                           | 169,5 | 169,5 | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,7   | 0,0  | 0,7   |
|      | 03 02 03 | მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია                  | 27,5  | 0,0   | 27,5  | 0,9   | 0,0   | 0,9   | 0,0   | 0,0  | 0,0   |
| 7061 |          | ხარჯები   | 27,5  | 0,0   | 27,5  | 0,9   | 0,0   | 0,9   | 0,0   | 0,0  | 0,0   |
|      | 03 02 04 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია                           | 34,8  | 0,0   | 34,8  | 195,8 | 174,9 | 20,9  | 64,1  | 4,4  | 59,7  |
| 7063 |          | ხარჯები   | 34,8  | 0,0   | 34,8  | 10,2  | 0,0   | 10,2  | 7,6   | 0,0  | 7,6   |
| 7063 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                           | 0,0   | 0,0   | 0,0   | 185,6 | 174,9 | 10,7  | 52,1  | 0,0  | 52,1  |
|      |          | ვალდებულებების კლება                                  | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 4,4   | 4,4  | 0,0   |
|      | 03 02 05 | გარე განათების ექსპლოატაცია                           | 195,2 | 58,8  | 136,4 | 184,0 | 3,4   | 180,6 | 207,5 | 0,0  | 207,5 |
| 7064 |          | ხარჯები   | 136,4 | 0,0   | 136,4 | 180,6 | 0,0   | 180,6 | 170,3 | 0,0  | 170,3 |
| 7064 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                           | 58,8  | 58,8  | 0,0   | 3,4   | 3,4   | 0,0   | 37,2  | 0,0  | 37,2  |
|      | 03 02 06 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 18,8  | 0,0  | 18,8  |
| 7064 |          | ხარჯები   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   |
| 7064 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                           | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 18,8  | 0,0  | 18,8  |
|      | 03 04    | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები            | 123,8 | 0,0   | 123,8 | 690,7 | 452,9 | 237,8 | 203,7 | 11,2 | 192,5 |
|      |          | ხარჯები   | 110,8 | 0,0   | 110,8 | 235,5 | 0,0   | 235,5 | 189,8 | 0,0  | 189,8 |



|       |          |  |         |       |       |         |       |         |         |       |         |
|-------|----------|--|---------|-------|-------|---------|-------|---------|---------|-------|---------|
|       |          | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 13,0    | 0,0   | 13,0  | 455,2   | 452,9 | 2,3     | 2,7     | 0,0   | 2,7     |
|       |          | ვალდებულებების კლება   | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 11,2    | 11,2  | 0,0     |
|       | 03 04 01 | პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები               | 123,8   | 0,0   | 123,8 | 685,1   | 452,9 | 232,2   | 192,5   | 0,0   | 192,5   |
| 7066  |          | ხარჯები  | 110,8   | 0,0   | 110,8 | 229,9   | 0,0   | 229,9   | 189,8   | 0,0   | 189,8   |
| 7066  |          | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 13,0    | 0,0   | 13,0  | 455,2   | 452,9 | 2,3     | 2,7     | 0,0   | 2,7     |
|       | 03 04 02 | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა                                       | 0,0     | 0,0   | 0,0   | 5,6     | 0,0   | 5,6     | 0,0     | 0,0   | 0,0     |
| 7066  |          | ხარჯები  | 0,0     | 0,0   | 0,0   | 5,6     | 0,0   | 5,6     | 0,0     | 0,0   | 0,0     |
|       | 03 04 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია   | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 11,2    | 11,2  | 0,0     |
| 7066  |          | ხარჯები  | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0   | 0,0     |
| 7066  |          | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0   | 0,0     |
|       |          | ვალდებულებების კლება   | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 11,2    | 11,2  | 0,0     |
|       | 03 05    | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | 808,1   | 782,1 | 26,0  | 834,9   | 780,7 | 54,2    | 697,2   | 692,2 | 5,0     |
| 70451 |          | ხარჯები  | 495,3   | 492,5 | 2,8   | 327,2   | 303,6 | 23,6    | 313,2   | 313,2 | 0,0     |
| 70451 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 312,8   | 289,6 | 23,2  | 507,7   | 477,1 | 30,6    | 380,3   | 375,3 | 5,0     |
|       |          | ვალდებულებების კლება   | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 3,7     | 3,7   | 0,0     |
|       | 03 06    | სოფლის მეურნეობის დაფინანსება                                      | 25,0    | 0,0   | 25,0  | 11,1    | 0,0   | 11,1    | 5,0     | 0,0   | 5,0     |
| 70421 |          | ხარჯები  | 25,0    | 0,0   | 25,0  | 11,1    | 0,0   | 11,1    | 5,0     | 0,0   | 5,0     |
|       | 04 00    | განათლება  | 1 578,8 | 795,9 | 782,9 | 1 237,5 | 0,0   | 1 237,5 | 1 348,4 | 296,7 | 1 051,7 |
|       |          | ხარჯები  | 852,9   | 100,7 | 752,2 | 1 117,8 | 0,0   | 1 117,8 | 1 028,1 | 0,0   | 1 028,1 |





|       |       |  |         |       |         |         |      |         |         |       |         |
|-------|-------|--|---------|-------|---------|---------|------|---------|---------|-------|---------|
|       |       | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 725,9   | 695,2 | 30,7    | 119,7   | 0,0  | 119,7   | 308,2   | 287,4 | 20,8    |
|       |       | ვალდებულებების კლება   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     | 12,1    | 9,3   | 2,8     |
|       | 04 01 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა                                       | 1 376,9 | 795,9 | 581,0   | 991,7   | 0,0  | 991,7   | 818,5   | 0,0   | 818,5   |
| 7091  |       | ხარჯები  | 651,0   | 100,7 | 550,3   | 872,0   | 0,0  | 872,0   | 818,1   | 0,0   | 818,1   |
| 7091  |       | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 725,9   | 695,2 | 30,7    | 119,7   | 0,0  | 119,7   | 0,4     | 0,0   | 0,4     |
|       | 04 02 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა   | 96,0    | 0,0   | 96,0    | 136,6   | 0,0  | 136,6   | 105,0   | 0,0   | 105,0   |
| 70923 |       | ხარჯები  | 96,0    | 0,0   | 96,0    | 136,6   | 0,0  | 136,6   | 105,0   | 0,0   | 105,0   |
|       | 04 03 | ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი                                      | 105,9   | 0,0   | 105,9   | 109,2   | 0,0  | 109,2   | 105,0   | 0,0   | 105,0   |
| 7098  |       | ხარჯები  | 105,9   | 0,0   | 105,9   | 109,2   | 0,0  | 109,2   | 105,0   | 0,0   | 105,0   |
|       | 04 04 | განათლების ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა | 105,9   | 0,0   | 105,9   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 319,9   | 296,7 | 23,2    |
| 7098  |       | ხარჯები  | 105,9   | 0,0   | 105,9   | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0   | 0,0     |
| 7098  |       | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     | 307,8   | 287,4 | 20,4    |
|       |       | ვალდებულებების კლება   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     | 12,1    | 9,3   | 2,8     |
|       | 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები                 | 1 933,5 | 503,8 | 1 429,7 | 1 582,3 | 96,7 | 1 485,6 | 1 399,0 | 2,3   | 1 396,7 |
|       |       | ხარჯები  | 1 331,3 | 0,0   | 1 331,3 | 1 485,6 | 0,0  | 1 485,6 | 1 373,3 | 0,0   | 1 373,3 |
|       |       | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 602,2   | 503,8 | 98,4    | 96,7    | 96,7 | 0,0     | 14,9    | 0,0   | 14,9    |
|       |       | ფინანსური აქტივების ზრდა   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     | 0,0     | 0,0   | 0,0     |
|       |       | ვალდებულებების კლება   | 0,0     | 0,0   | 0,0     | 0,0     | 0,0  | 0,0     | 10,8    | 2,3   | 8,5     |
|       | 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა  | 562,9   | 85,6  | 477,3   | 615,0   | 0,0  | 615,0   | 498,7   | 0,0   | 498,7   |
|       |       | ხარჯები  | 447,6   | 0,0   | 447,6   | 615,0   | 0,0  | 615,0   | 490,1   | 0,0   | 490,1   |



|      |          |   |         |       |       |       |      |       |       |     |       |
|------|----------|---|---------|-------|-------|-------|------|-------|-------|-----|-------|
|      |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 115,3   | 85,6  | 29,7  | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,1   | 0,0 | 0,1   |
|      |          | ვალდებულებების კლება  | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 8,5   | 0,0 | 8,5   |
|      | 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება                          | 11,1    | 0,0   | 11,1  | 5,0   | 0,0  | 5,0   | 112,5 | 0,0 | 112,5 |
| 7081 |          | ხარჯები   | 5,3     | 0,0   | 5,3   | 5,0   | 0,0  | 5,0   | 112,5 | 0,0 | 112,5 |
| 7081 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 5,8     | 0,0   | 5,8   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0   |
|      | 05 01 02 | სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრი                     | 166,6   | 0,0   | 166,6 | 235,0 | 0,0  | 235,0 | 215,0 | 0,0 | 215,0 |
| 7081 |          | ხარჯები   | 166,6   | 0,0   | 166,6 | 235,0 | 0,0  | 235,0 | 214,9 | 0,0 | 214,9 |
| 7081 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,1   | 0,0 | 0,1   |
|      | 05 01 03 | სპორტული კომპლექსის მშენებლობა                              | 95,5    | 85,6  | 9,9   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0   |
| 7081 |          | ხარჯები   | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0   |
| 7081 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 95,5    | 85,6  | 9,9   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0   |
|      | 05 01 04 | საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა-2009“-ის დაფინანსება            | 165,0   | 0,0   | 165,0 | 250,0 | 0,0  | 250,0 | 57,5  | 0,0 | 57,5  |
| 7081 |          | ხარჯები   | 165,0   | 0,0   | 165,0 | 250,0 | 0,0  | 250,0 | 49,0  | 0,0 | 49,0  |
|      |          | ვალდებულებების კლება  | 0,0     | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 8,5   | 0,0 | 8,5   |
|      | 05 01 05 | სპორტული ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია                 | 14,0    | 0,0   | 14,0  | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0   |
| 7081 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 14,0    | 0,0   | 14,0  | 0,0   | 0,0  | 0,0   | 0,0   | 0,0 | 0,0   |
|      | 05 01 06 | სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი | 110,7   | 0,0   | 110,7 | 125,0 | 0,0  | 125,0 | 113,7 | 0,0 | 113,7 |
| 7081 |          | ხარჯები   | 110,7   | 0,0   | 110,7 | 125,0 | 0,0  | 125,0 | 113,7 | 0,0 | 113,7 |
|      | 05 02    | კულტურის განვითარების ხელშეწყობა                            | 1 194,1 | 418,2 | 775,9 | 907,4 | 91,7 | 815,7 | 734,3 | 2,3 | 732,0 |



|      |          |  |       |       |       |       |      |       |       |     |       |
|------|----------|--|-------|-------|-------|-------|------|-------|-------|-----|-------|
|      |          | ხარჯები  | 708,1 | 0,0   | 708,1 | 815,7 | 0,0  | 815,7 | 719,2 | 0,0 | 719,2 |
|      |          | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 486,0 | 418,2 | 67,8  | 91,7  | 91,7 | 0,0   | 12,8  | 0,0 | 12,8  |
|      |          | ვალდებულებების კლება   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 2,3   | 2,3 | 0,0   |
|      | 05 02 01 | სამუსიკო სკოლა   | 130,0 | 0,0   | 130,0 | 99,8  | 0,0  | 99,8  | 96,5  | 0,0 | 96,5  |
| 7082 |          | ხარჯები  | 130,0 | 0,0   | 130,0 | 99,8  | 0,0  | 99,8  | 94,5  | 0,0 | 94,5  |
| 7082 |          | არაფინანსური აქტივების ზრდა  | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0   | 0,0  | 0,0   | 2,0   | 0,0 | 2,0   |
